ურთიერთშეთანხმების აქტი #3

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 13 მარტს გაფორმებულ N37 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

24 ოქტომბერი 2018 წელი

ქ. ბათუმი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მერის ჯუმბერ ვარდმანიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მარიამი ო.ბ.2006“-ს წარმოდგენილი დირექტორის ოთარ ბერიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, 2018 წლის 13 მარტს გაფორმებულ N37 ხელშეკრულების მე-11 მუხლით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის 2018 წლის 24 ოქტომბრის სხდომის #8 ოქმით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2018 წლის 13 მარტს გაფორმებულ N37 ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით“.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დანარჩენი მუხლები რჩება უცვლელი.
3. წინამდებარე ურთიერთშეთანხმების აქტი წარმოადგენს 2018 წლის 13 მარტს გაფორმებულ N37 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მესამე მიმწოდებელთან.
4. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის	შ.პ.ს. „მარიამი ო.ბ.2006“
მერი	დირექტორი
ჯუმბერ ვარდმანიძე	ოთარი ბერიძე
----------	----------

მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი #8

ქ. ბათუმი

2018 წლის 24 ოქტომბერი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
.ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;
.ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
.კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;
.ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
.თეიმურაზ გაწერელია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
.გიორგი ქურიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
.ვახტანგ დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
.მადონა სამნიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

კომისიის აპარატის წევრი:
.მელანო მამულაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დღის წესრიგი
მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 13 მარტს გაფორმებულ N37 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრის მ. მამულაძის ინფორმაცია: 2018 წლის 13 მარტს შპს ,,მარიამი ო.ბ. 2006"-თან გაფორმებული იქნა N37 ხელშეკრულება მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი როსტომ ვარშანიძე მოხსენებითი ბარათით (#3062-05 24.10.2018 წ) გვაცნობებს, რომ ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. ხელშეკრულების თანახმად ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესრულებულ სამშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა. ვინაიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღრული იყო 2018 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო ურთიერთშეთანხმების აქტი N2-ის საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაიზარდა და განისაზღვა 2018 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით, როსტომ ვარშანიძე აფიქსირებს, რომ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისათვის მიზანშეწონილია ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 31 ოქტომბრის ჩათვლით, წინაღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ფინანსური ოპერაციების განხორციელება და მშენებლისათვის თანხის ანაზღაურება. აღნიშნული შპს,,მარიამი ო.ბ 2006" დირექტორის მიერ ეცნობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას N52 (შიდა N14454/05 24.10.18 წლის) წერილით, სადაც ის მოითხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას 31 ოქტომბრამდე, რა დროშიც შპს,,მარიამი ო.ბ 2006" საჯარიმო სანქციების ფონზე შესძლებს ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენას დასრულებულ სამუშაოებზე.

კომისიამ განიხილა და შეისწავლა აღნიშნული საკითხი. გამომდინარე იქედან, რომ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა და მშენებელისათვის შესაბამისი თანხის ანაზღაურება, რაც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შეტანილი იქნას ცვლილება 2018 წლის 13 მარტს გაფორმებულ N37 ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და განისაზღვროს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე

კომისიამ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება 2018 წლის 13 მარტს გაფორმებულ N37 ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით".

3. გაფორმდეს ურთიერთშეთანხმების აქტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „მარიამი ო.ბ.2006"-ს შორის;

4. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული ცვლილების მომზადება და განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე: ჯ. ვარდმანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზ. ხალვაში

კომისიის წევრები: კ. ფუტკარაძე

ტ. ნაკაშიძე

თ. გაწერელია

გ. ქურიძე

ვ. დიასამიძე

მ.სამნიძე

კომისიის აპარატის წევრი: მ. მამულაძე

N 3062-05
24/10/2018

3062-05-3-201810241239

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ჯუმბერ ვარდმანიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ჯუმბერ,

მოგახსენებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს,,მარიამ ო.ბ 2006"-ს შორის 2018 წლის 13 მარტს გაფორმებული N37 საფუძველზე ვაწარმოებთ მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებს.

დღეის მდგომარეობით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, მაგრამ ხელშეკრულების თანახმად ანაზღაურებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპერტიზის დასკვნა, შპს,,მარიამ ო.ბ 2006"-ს დირექტორის ოთარ ბერიძის N14454/05 24.10.18 წლის წერილით განმარტავს, რომ ვერ ხერხდება ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა და მოითხოვს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას 2018 წლის 31 ოქტომბერამდე წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ფინანსური ოპერაციების განხორციელება.

გთხოვთ, თქვენს შემდგომ მითითებებს.

როსტომ ვარშანიძე

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილება

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკა
„მარიამი ო.ბ. 2006"
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ADJARA AUTONOMOUS
REPUBLIC
„MARIAMI O.B. 2006"
LIMETED COMPANY

6010. ბათუმი, ლეონიძის ქ. №4. ბ.1
6010. LEONIDZE STR №4
ტელ: 599 39 26 20

№ 52

24 ოქტომბერი 2018 წელი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ჯუმბერ ვარდმანიძეს

ბატონო ჯუმბერ,

გაცნობებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს„მარიამ ო.ბ 2006"-ს შორის 2018 წლის 13 მარტს გაფორმებული N37 საფუძველზე ვაწარმოებთ მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებს.

დღეის მდგომარეობით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, ხელშეკრულების თანახმად ანაზღაურებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპერტიზის დასკვნა, რადგან ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2018 წლის 25 ოქტომბერი ვერ ხერხდება ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა, გამომდინარე აქედან შეუძლებელი იქნება ფინანსური ოპერაციების განხორციელება.

გთხოვთ, გაითვალიოსწინოთ აღნიშნული მდგომარეობა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა გამიგრძელოთ 31 ოქტომბრამდე.

შპს „მარიამი ო.ბ 2006"-ის დირექტორი ოთარ ბერიძე

14454105
24 10 2018